



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო

პროექტი“ მოქალაქეთა ინიციატივა ანგარიშვალდებული
თვითმმართველობისათვის“

(ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი
მოსახლეობის საჭიროებების დოკუმენტი)



წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ფოკუს-ჯგუფის მეთოდის გამოყენებით ჩატარებული თვისებრივი კვლევის გაერთიანებულანგარიშს. მისიმომზადება შესაძლებელი გახდა,პროექტის„მოქალაქეთა ინიციატივა ანგარიშვალდებული თვითმმართველობისათვის“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ, World Vision საქართველოს პროექტის „ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება ეფექტიანი მმართველობისთვის“ ფარგლებში.

პროექტისშესახებ:

პროექტისმიზანწარმოადგენს უზრუნველყოს იმერეთის მხარის ზესტაფონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტებში ეფექტური თვითმმართველობის განხორციელება, ხელი შეუწყოს მოქალაქეთა ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში - ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის სისტემატური ანგარიშგებისა და უწყვეტი დიალოგის მეშვეობით.

ფოკუსჯგუფისძირითადისაკვლევითემატიკისბლოკებიგახლდათ:

1. მოქალაქეთა საჭიროებები ადგილობრივ დონეზე (ზოგადი მიმოხილვა);
2. ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა ადგილობრივ მართვაში;
3. ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციის ქვეშ არსებული, მოქალაქეთა კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიკაცია.



ანგარიშიმომზადებულია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო და არ ნიშნავს რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში სულ ჩატარდა: 4 (ოთხი) ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა

ესწრებოდნენ მოქალაქეები შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულებიდან: ბაღდათის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციული ერთეული (სოფელივარციხე; სოფელი ფერსათი; ქალაქი ბაღდათი; დიშის თემი; სოფელი საკრაულა; როკითის თემი; სოფელი წითელხევი; ფერსათის თემი; სოფელი ზეგანი; პირველი ობჩა; ნერგეთის თემი; მეორე ობჩა; ზედა დიმი; ხანის თემი; სოფელი როხი)

საკვლევი თემა: მოსახლეობის საჭიროებების კვლევა ადგილობრივ დონეზე.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები: საკითხის სპეციფიკიდან დამომდინარე ჩატარდა თვისებრივი კვლევა, ფოკუს-ჯგუფის მეთოდის გამოყენებით.

მონაწილეთა შერჩევა: თითოეულ ფოკუს-ჯგუფის შეხვედრაზე, ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 9 მოქალაქე. შერჩევით ერთობლიობაში დაცული იყო ჰომოგენურობის პრინციპი. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები შეირჩა თოვლის გუნდის მეთოდით, სხვადასხვა კრიტერიუმის (დასაქმებული, დაუსაქმებელი, შშმ, მრავალშვილიანი დედა და ა.შ.) გათვალისწინებით. ჯამში გამოიკითხა: 36 ადამიანი.

1. ძირითადი მიგნებები: დასკვნები. რეკომენდაციები

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა დაასახლეს პრობლემები, როგორც თავიანთი ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულიდან დამომდინარე, აგრეთვე ზოგადად ბაღდათის მუნიციპალიტეტის ქრთში. მოქალაქეთა ძირითად პრობლემებს ბაღდათის მუნიციპალიტეტში წარმოადგენს:

- სოციალური სერვისების გაუმჯობესება - გამოკითხული რესპონდენტებისათვის ბუნდოვანია სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭების სტანდარტი. მუნიციპალური სოციალური სერვისები კი არის ერთჯერადი ხასიათის და ის ვერ აუმჯობესებს ოჯახების სოციალურ მდგომარეობას. განსაკუთრებით დაუცველია მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირები, ხანდაზმულები, მრავალშვილიანი, მარტოხელა დედები, ახალგაზრდები. მოქალაქეები მიიჩნევენ, რომ უმჯობესია ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტი გახდეს გრძელვადიანი სოციალური სერვისების დანერგვა, ვიდრე ერთჯერადი სოციალური გასაცემლები;
- უმუშევრობა - მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებში შედის ადგილობრივი დასაქმების ხელშეწყობა, ადგილობრივი ბიუჯეტი ხშირად ვერ უზრუნველყოფს მოქალაქეთა ჯგუფების, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკური განვითარების პროგრამების განხორციელებას. მაშინ, როცა ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეთა ჯგუფებისთვის ძირითად პრობლემას წარმოადგენს სიღარიბე და დასაქმების ნაკლები შესაძლებლობა.

- მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა (გზა, საკანალიზაციო სისტემა, გარე განათება, გარე ფასადი) - გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობისათვის კვლავ მნიშვნელოვან საკითხად რჩება სასოფლო და შიდა საუბნო გზების, ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის დამაკავშირებელი საგზაო ინფრასტრუქტურის, საკანალიზაციო და სადრენაჟო სისტემების მოწყობა. ასევე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ბოლო წლებში თვალსაჩინო პროგრესისა, გარე განათების პრობლემა ბალდათის მუნიციპალიტეტის სოფლებსა და თემებში ჯერ კიდევ პრობლემად სახელდება;
- მიგრაცია - რესპოდენტთა თქმითბალდათის მუნიციპალიტეტში სოფლებიდან ხდება მასიური გადინება, მოსახლეობა მიდის სამუშაოდ საზღვარგარეთ ან საქართველოს დიდ ქალაქებში. სტუდენტი ახალგაზრდები სწავლის დაბრუნების შემდგომ მუნიციპალიტეტში ნაკლებად ბრუნდებიან;
- წყალმომარაგება(სასმელი წყალი) - ბალდათის მუნიციპალიტეტი მრავალია წელია აღნიშნული პრობლემის წინაშე დგას. წყალი მხოლოდ ქალაქ ბალდათს მიეწოდება, თუმცა საჯაროდ ცნობილია რეკომენდაცია, რომ აღნიშნული წყალი არ გამოიყენონ სასმელად. ადგილობრივი მოსახლეობა, სოფლებიდან და თემებიდან ყველაზე მნიშვნელოვან საჭიროებათ პირველ რიგში წყალმომარაგების საკითხს აყენებს. სასმელად ვარგისი წყალი არ მიეწოდებათ არც საჯარო სკოლებსა და ბაღების უმრავლესობას;
- ახალგაზრდების განვითარება, კულტურა და სპორტი - ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა თქმით მუნიციპალიტეტის კულტურული მატერიალურ ტექნიკური ბაზა არის სრულიად დაკნინებული. კულტურული ძეგლები დავიწყებული. თითქმის არცერთ სოფელში არ არის არც კულტურის და არც სპორტული ცენტრები სადაც ახალგაზრდებს შესახლებლობა მიეცემოდათ სკოლის გარეშე წრეებით დაკავებულიყვნენ (ცეკვა, მუსიკა, ხატვა, ტანვარჯიში, ფეხბურთი და ა.შ.);
- სკოლამდელი განათლების - რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ ამმომართულებით პრობლემას წარმოადგენს არსებული ანტისანიტული მდგომარეობა, რაც საკანალიზაციო სისტემის არარსებობით არის გამოწვეული. ამასთან, სასმელი წყლის ხარისხი. კერძოდ, რეზერვუარებში დაგროვილი წყალი, რომელიც მიეწოდება ბაღებს არის იმდენად დაბინძურებული, რომ ხშირია სკოლამდელი ასაკის ბავშვებში წყლით მოწამვლის ფაქტები. აუცილებლობას წარმოადგენს ეზოების მოწყობა და გასართობი საშუალებების დამატება. ასევე პრობლემას წარმოადგენს ბაღის სიმორე სოფლებიდან;
- საინფორმაციო უზრუნველყოფა (მედია და მოქალაქეთა ინფორმირება) - ბალდათის მუნიციპალიტეტში არ არსებობს ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტოები, რომლებიც შეძლებდნენ მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი სიახლეების მიწოდება. აქტიურად ფუნქციონირებს მუნიციპალური საინფორმაციო ცენტრი, თუმცა ეს საკმარისი არ არის. მოსახლეობა აგრეთვე პრობლემად ასახელებს მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ ნაკლებ ძალისხმევას პროაქტიულად და ეფექტურად მიაწოდოს მოსახლეობას ინფორმაცია დამტკიცებული დადგენილებების, ბიუჯეტის, სიახლეების, ცვლილებების შესახებ;
- გარემოს დაცვა - ბალდათის მუნიციპალიტეტში პრობლემად სახელდება გარემოსდაცვითი საკითხები. „აზიური ფაროსანა“საფრთხეს უქმნის არა მარტო

რეგიონის მიკროკლიმატს, არამედ ადამიანების ეკოლოგიურ უსაფრთხოებას. საფრთხე ექმნება ქართულ ფუტკარს, რომელიც ბაღდათის ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვან წილს იკავებს. საკითხისადმი გონიერი და სისტემური მიდგომის გარეშე რეგიონი შეიძლება აღმოჩნდეს ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე. მუნიციპალიტეტის ქალთა ჯგუფების დაკვეთა მოქნილი და მზრუნველი ადგილობრივი პოლიტიკა, რომელიც მობილური ინება მოქალაქეთა ყოფაში გამოვლენილი პრობლემების მიმართ, მზად იქნება უპასუხოს არსებულ გამოწვევებს, და არასაკმარისი არდგილობრივი რესურსების პირობებში იქნება უნარი, მოიზიდოს გარე რესურსები პრობლემის მოგვარებისთვის.

2. ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში

ბაღდათის მუნიციპალიტეტში ჩატარებულმა მოსახლეობის საჭიროებების კვლევამ გამოკვეთა მოქალაქეების პოზიცია, რომ მათ სურთ უფრო თამამი და ნაკლებად ცენტრალიზებული ადგილობრივი მართვა, რომელიც დაფუძნებული იქნება ადგილობრივ სტატისტიკაზე, საჭიროებათა კვლევებზე და ორიენტირებული იქნება უფრო გრძელვადიან სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებზე.

გამოკითხულმა რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის დონე დაბალია. აღნიშნული გამოწვეულია ერთის მხრივ ადგილობრივი ხელისუფლების არასაკმარისი ძალისხმევით წახალისოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების განხორციელება და მეორეს მხრივ თავად მოქალაქეთა ინერტულობითა და ნიჰილისტური დამოკიდებულებით. როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა ყურადღება უფრო მეტად არჩევნების წინა პერიოდში არის თვალსაჩინო *„ყოველ წელს რომ იყოს არჩევნები უფრო კარგი იქნება“*. მოქალაქეთა თქმით ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენელთა ადმინისტრაციებში სამეტაო ერთეულის შემცირებით. სოფლებში და თემებში არჩეული დეპუტატები უფრო მეტად არიან ხოლმე ჩართულები *„სოფ. როხში უშუალოდ დეპუტატის და მოსახლეობის ერთობლივი შრომით მოეწყო სკვერი“*.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებს გაუჭირდათ კონკრეტული პროგრამების დასახელება, რომლებსაც ითვალისწინებს 2018 წლის ბიუჯეტი. მათ თავად არასდროს გამოუთხოვიათ საჯარო ინფორმაცია, თუმცა ამ შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციას ფლობენ. ერთ-ერთი რესპოდენტის თქმით *„პირადად მიმდმართავს სოფლის დეპუტატისათვის და პრობლემა არ ქონია ინფორმაციის მოწოდების“*. სოფ. როხის მაცხოვრებელი რესპოდენტი იხსენებს, რომ ადგ. ბიუჯეტით დაფინანსებული ინფრატრუქტურული პროექტებში უშუალოდაც იყო ჩართული, მაგ: სკვერის კეთილმოწყობა, სანაგვე ურნების განთავსება. ფოკუს-ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე, მუნიციპალიტეტის შშმ პირთა საკონსულტაციო საბჭოს წევრი გახლდათ და მისთვის ცნობილი იყო შშმ პირებთან დაკავშირებული საბიუჯეტო პროგრამების შესახებ ინფორმაცია. ერთ-ერთი რესპოდენტის თქმით *„მე სამსახურში დავდივარ, უფრო მეტ რესურსებთან მაქვს წვდომა და გავიგე თანადაფინანსების პროგრამის შესახებ, მაგრამ რა ქნას*

იმ სოფლად მცხოვრებმა ოჯახებმა, ვინ თავისთვის საკუთარი მეურნეობითაა დაკავებული და საერთოდ არ სარგებლობს არც სოციალური ქსელებით და არც ქალაქში უწევს ჩამოსვლა, უფრო მეტი კონტაქტი არის ხალხთან საჭირო“.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები ვერ ფარავს საზოგადოების ფართო მასებს, შესაბამისად მოსახლეობა ვერ გრძნობს ბიუჯეტის პირდაპირ ეფექტს. თუმცა, ერთ-ერთმა მონაწილემ 2018 წელს ისარგებლა შშმ პირთა უფასო ექვესკურსიის პროგრამით, რომელიც სრულად იყო დაფინანსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტით. აგრეთვე ერთ-ერთი რესპოდენტმა ისარგებლა დედის ოპერაციისათვის თანადაფინანსების პროგრამით.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ შესაძლოა ისინი არიან კიდევ სხვადასხვა პროგრამების მონაწილეები, თუმცა ამის შესახებ არ აქვთ ინფორმაცია „ის სერვისები, რითაც ჩვენ უფასოდ ვსარგებლობთ შესაძლოა იყოს ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული, მაგალითად: გზების კეთილმოწყობა, გარე განათება, სკოლამდელი აღზრდა განათლება“ – აღნიშნა ერთ-ერთმა რესპოდენტმა.

რესპოდენტებმა პრიორიტეტულად დაასახელეს ადგილობრივი თვითმმართველობის მოქნილი/ადაპტირებული საიტისა და დისტანციური სერვისების არსებობა, რაც გულისხმობს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის, განცხადებით მიმართვის, დასაჯარო მოხელისათვის შეკითხვის დასმის შესაძლებლობას, აგრეთვე ყველა მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტის პროაქტიულად გამოქვეყნებასა და მოსახლეობისათვის გაცნობას.

რესპოდენტები აღნიშნავენ ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან ერთეულ წარმატებულ შემთხვევებს, თუმცა ზოგადად ისინი ნაკლებად არიან წახალისებული, რომ აქტიურად ჩაერთონ ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა წარმატებულ მაგალითად მოიყვანეს ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტით დაფინანსებული ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც რამდენი ახალგაზრდა ბაღდათის მუნიციპალიტეტიდან გაემგზავრა პოლონეთში, სადაც ისინი შეხვდებიან თანატოლებს. რესპოდენტთა თქმით ახალგაზრდები დაბრუნების შემდგომ თავს გრძნობენ გაცილებით უფრო მოტივირებულად რომ განაგრძონ აქტიური კომუნიკაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და განახორციელონ სამომავლო პროექტები. რესპოდენტებმა ვერ დაასახელეს სხვა მხარდამჭერი პროგრამი.

3. კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიკაცია

(სფეროები - სოციალური ინფრასტრუქტურა (გზები, გარე განათება, კანალიზაცია, სანიაღვრე არხები, დასუფთავება, ფასადები, ელექტროენერჯია, გაზიფიცირება, წყალმომარაგება); სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხი; ადგილობრივი დასაქმების შესაძლებლობა; ეკონომიკური განვითარების, პროფესიული განათლების პროგრამები; კონკრეტული სოციალური სერვისები; გარემოს დაცვა/სურსათის უვნებლობის დაცვა, რეპროდუქტიული ჯანმრთელობა, დემოგრაფიული პოლიტიკა, მიგრაციის შეჩერება და ა.შ.

მოქალაქეთა სოციალური დაცვა: რესპოდენტთათვის ბუნდოვანია სოციალური დახმარების გაცემის და ოჯახების შეფასების საკითხი. „ძირითადად დახმარებას ღებულობენ ისეთი ოჯახები, რომელთაც ამის საჭიროება საერთოდ არა აქვთ“. ამ ფონზე, დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე რჩებიან ისეთი ოჯახები, რომლებიც ნამდვილად საჭიროებენ სოციალურ დაცვას. ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სურვილია პროცესის სამართლიანად წარმართვის მიზნით აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობის გაზრდა და შუამდგომლობა.

რესპოდენტთა თქმით **სოციალურად დაუცველი პირები სარგებლობენ** არაერთი დახმარებით, თუმცა ძირითადად ერთჯერადი ხასიათის, რაც რათქმაუნდა ვერ აუმჯობესებს ოჯახების მდგომარეობას. ერთ-ერთი რესპოდენტის თქმით „**ის ერთჯერადი დახმარებები რასაც ადგილობრივი თვითმმართველობა გასცემს სოციალურად დაუცველ პირებზე ეს არის წყალში გადაყრილი თანხა რადგანაც ამ დახმარებას არ აქვს მიზნობრიობა და ის არ არის მიმართული ოჯახის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ აუცილებელია განხორციელდეს ალტერნატიული ტიპის პროგრამები**“. რესპოდენტთა თქმით უფრო მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ სერვისების დანერგვაზე, რაც ხელს შეუწყობს სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების და სამეწარმეო უნარ-ჩვევების გაზრდას.

რესპოდენტთა აზრით ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა გააძლიეროს ზრუნვის პოლიტიკა, ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფის **ახალგაზრდების** მიმართ, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ისინი უნივერსიტეტის დასრულების შემდგომ ბრუნდებიან მუნიციპალიტეტში და ელოდებიან შესაბამისი სამსახურის დაწყებას „**ადგილობრივმა ბიუჯეტმა უნდა წახალისოს ახალგაზრდა დარჩეს ბაღდათში მისი რესურსების რეალიზება მოახდინოს ადგილობრივ დონეზე**“.

რესპოდენტებმა აღნიშნეს „**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან** დაკავშირებული, პრობლემები, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა არაადაპტირებულ ინფრასტრუქტურაზე დააგრეთვე თავად შშმ პირები ჩაკეტილობა/ინერტულობაზე. „ როგორც შშმ პირებს, ასევე მათ ოჯახებს არ სურთ გამოვიდნენ გარეთ და ჩაერთონ თუნდაც შშმ პირთა საკონსულტაციო საბჭოს მუშაობაში“ -აღნიშნა ერთ-ერთმა რესპოდენტმა. ბაღდათის მუნიციპალიტეტში არ არსებობს შშმ პირთა დღის ცენტრი და არც ადაპტირებული ტრანსპორტი...**„მუნიციპალიტეტს აქვს პრაქტიკა მობილური პანდუსის გამოყენებისა, რომელიც მუნიციპალიტეტში მხოლოდ ერთია და მასაც განსაკუთრებული საჭიროებისას იყენებენ**“. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ზრუნვის საგანი და მისი ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა გახდეს შშმ პირთა საკითხებთანსისტემური მიდგომა და მუშაობა, აგრეთვე შშმპირების სამოქალაქო ჩართულობის დონის გაზრდა.

რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ ხშირია **ოჯახში ძალადობის** ფაქტები. ამ კუთხით ერთადერთი დახმარე ორგანო არის შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც კანონის შესაბამისად აღკვეთავს ძალადობას. ერთ-ერთი რესპოდენტის თქმით „**ხშირად მაშინ იწყება პრობლემა, როდესაც ოჯახის შიდა ურთიერთობაში ერთვეება პოლიცია, აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი პირების უფრო ახლოს ყოფნა განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფ ოჯახებთან. მათი პრობლემებით დაინტერესება მათთან**

საუბარი და აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი მხარდამჭერი პროგრამების მიწოდება“: მხარდამჭერი პროგრამები კი შეიძლება იყოს მსხვერპლის დროებით მოთავსება თავშესაფარში, მატერიალური დახმარება, ფსიქოლოგის მომსახურების მიწოდება, დასაქმების პროგრამაში ჩართვა რაც გაზრდის მის ეკონომიკურ მდგომარეობას და გახდის უფრო ძლიერ და დამოუკიდებელ მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის საგანი გახდეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების, ხანდაზმულების, ბავშვების ზრუნვა.

დასაქმების პრობლემა-დასაქმება და ხალხის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობა დასახელდა ყველაზე მნიშვნელოვან საჭიროებად ჯგუფის მონაწილეთა მხრიდან. მუნიციპალიტეტში ფიზიკურად არ არის ადგილი, სადაც შეიძლება ადამიანმა იმუშაოს და მათ შორის ახალგაზრდამ. ერთ-ერთი რესპოდენტის თქმით „სოფლებში მალე აღარ დარჩება შრომისუნარიანი მოსახლეობა“.

მიგრაცია - რესპოდენტთა თქმით ბაღდათის მუნიციპალიტეტში სოფლები იცლება, სოფლის სკოლებიდან ხდება მოსწავლეების გადინება ადმინისტრაციულ ცენტრის სკოლებში. რესპოდენტები მიზანშეწონილად მიიჩნევენ კონკრეტული წამახალისებელი საქმიანობის განხორციელებას, რომელიც სოფლის მოსწავლეს დატოვებს საკუთარ სოფელში და არ წავა სხვაგან სასწავლებლად. მსგავსი პრობლემა სახელდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მიმართაც. ერთ-ერთი რესპოდენტის თქმით „კატასტროფაა, როდესაც გაივლი 300-400 მეტრს და ყველა საცხოვრებელი სახლი დაცლილია და მიტოვებული, ან ქალაქშია ჩასული ან საზღვარგარეთ არის გადახვეწილი, რათა ელემენტარული საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო პირობები შეიქმნას და შეუქმას მისი ოჯახის წევრებს“.

შიდა გზების პრობლემა - რესპოდენტები დადებითად აფასებენ ყოველწლიურად სასოფლო დანიშნულების გზის საფარის სწრაფ ტემპში მოწესრიგების საკითხს, ერთ-ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა-„ჩემთვის ცნობილია, რომ 2021 წლამდე, მყარის საფარის ქვეშ უნდა მოექცეს ბაღდათის მუნიციპალიტეტის გზების 70%“. თუმცა რესპოდენტებმა მოახდინეს დღემდე არსებულ საჭიროებების იდენტიფიცირება, კერძოდ სოფელ ფერსათში დაახლოებით კილომეტრნახევრიანი მონაკვეთი, უმძიმეს მდგომარეობაშია, სადაც მტვრის ბული დგას და გადაადგილება შეუძლებელია. წითელხევში გაწვიმების შემთხვევაში სამარშუტო ტაქსებით გადაადგილება საერთოდ შეუძლებელია. ქალაქ ბაღდათში შანიძის ქუჩაზე დაიგო მხოლოდ 500 მეტრზე, დარჩენილი გზის საფარის საკითხი უცნობია. რესპოდენტთა წუხილს წარმოადგენს საგზაო უსაფრთხოების საკითხიც, როგორებიცაა, მწოლიარე პატრულების და სახიფათო მოსახვევებში სპეციალური სარკეების დაყენება.

შიდა საუბნო გზები არსად არ არის მოწესრიგებული, თემიდან თემში გადასასვლელი გზები არ არის გაკეთებული. ნერგეთის თემში შემავალ ხუთ სოფელში ყველაზე დიდი პრობლემაა ამ კუთხით, განსაკუთრებით ეს ეხება „დაფენილს“ და „წაბლარას“ ხევს.

საფეხმავლო ტროტუარების არარსებობას - ერთ-ერთი რესპოდენტის თქმით „წითელხევში გზა მეტნაკლებად მოწესრიგებულია, თუმცა სად გაიაროს ბავშვებმა, როდესაც სკოლა გზის პირასაა“. რესპოდენტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ხშირად სამანქანო გზა იმდენად ვიწროა,

ფიზიკურად ვერ მოხერხდება დამატებით ტროტუარის გაკეთებაც, მაგრამ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიებმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ ფეხით მოსიარულე პირების უსაფრთხო გადაადგილების ინფრასტრუქტურაც. ტროტუარების პრობლემა აქტიურად დგას ქალაქ ბაღდათის ტერიტორიაზეც, რეპოდენტთა თქმით ტროტუარები არის თუმცა, მომწესრიგებელია მათზე ასვლა არ შეუძლია შშმ პირს, საბავშვო ეტლით მოსარგებლე მშობელს, მოხუცებულს რომელიც გადაადგილდება ჯოხით და აგრეთვე იმ ადამიანებს ვისაც სურს ტვირთის გადაადგილება სპეციალური ურიკით.

გარე განათება - რესპოდენტთა თქმით არის ტენდენცია რომ სადაც ხდება ახალი გზის საფარის დაგება, გარე განათების მოწესრიგებაც ხდება, თუმცა სოფლებში შიდა საუბნო გზები რომლებიც გაცილებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის რომ იყოს განათებული ჯერ კიდევ პრობლემად რჩება. გარეგანათების პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აბიტურიენტებისათვის, რომლებიც ღამე გადაადგილდებიან ქუჩებში. ყველაზე მეტად ეს პრობლემა აწუხებს ნერგეთის თემს და ზედა დიშს - უფრო კონკრეტულად ეკლესიის უბანში არსებულ ტერიტორიას. დიდველა-როკითში საერთოდ არ არის გარე განათება.

წყალმომარაგება- ბაღდათის მუნიციპალიტეტისთვის დღემდე უმთავრეს პრობლემად რჩება. ოფიციალურად **სასმელი წყალი** მხოლოდ ქალაქ ბაღდათს მიეწოდება, თუმცა საჯაროდ ცნობილია რეკომენდაცია, რომ აღნიშნული წყალი არ გამოიყენონ სასმელად. ადგილობრივი მოსახლეობა, სოფლებიდან და თემებიდან ყველაზე მნიშვნელოვან საჭიროებათ პირველ რიგში წყალმომარაგების საკითხს აყენებს. სასმელად ვარგისი ონკანის წყალი არ მიეწოდებათ არც საჯარო სკოლებსა და ბაღებს. რესპოდენტები სოფლებში ძირითადად სარგებლობენ საკუთარი ჭის წყალით, თუმცა მუნიციპალიტეტს არ აქვს რაიმე ისეთი სერვისი, რომელიც უზრუნველყოფდა პერიოდულად წყლის ხარისხის დადგენას. ბაღდათის მუნიციპალიტეტში ჩატარებული წყლის ანალიზის პასუხით არცერთი წყალი სასმელად ვარგისი არ აღმოჩნდა.

საკანალიზაციო სისტემა - რესპოდენტები აღნიშნავენ რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტისათვის მრავალი წელია უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს საკანალიზაციო ქსელის არარსებობა. „ბაღდათის მუნიციპალიტეტში არ არსებობს საკანალიზაციო ქსელი, არც ქალაქში და არც სოფლებში აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით დგას მაღალსართულიან კორპუსებში საჯარო სკოლებსა და ბაღებში“- განაცხადა ერთ-ერთმა რესპოდენტმა. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ როდესაც ხდება გზის დაგება, არ ხდება საკანალიზაციო და შიდა კომუნიკაციების საკითხის მოწესრიგება.

ნარჩენების მართვა/დასუფთავება - რესპოდენტები აღნიშნავენ გაუმჯობესებული გარემოს შესახებ, თუმცა ასახელებენ დღემდე არსებულ პრობლემებს, მაგ. არ ხდება ნარჩენების სეპარაცია, აუცილებელია მოსახლეობის ცნობიერების გაზრდაზე მუშაობა, არ დგას შესაბამისი გამაფრხილებელი/მიმანიშნებელი ნიშნები, ნარჩენების მანქანას გააქვს მხოლოდ ურნებში დაგროვებული ნარჩენები, თუმცა სოფლებში გზად გვხვდება თვითნებური მცირე სანაგაოები, უფრო მეტი ყურადღება ჭირდება სანაპიროების დასუფთავებას. ყველგან ვერ ხერხდება სანაგვე ურნების მოწყობა, რაც გამოწვეულია იმით, რომ სპეციალური ტექნიკა,

რომელმაც უნდა დაცალოს ურნა ვერ ახერხებს თავისუფლად გადაადგილებას, რაც გამოწვეულია გზის პრობლემის არსებობით. ხშირია მდინარეების და ხევის დაბინძურების შემთხვევები, რაზეც სამწუხაროდ არანაირი სანქცია არ არსებობს.

ქუჩის ძაღლების პრობლემა- გზებზე, სადაც სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვები მოძრაობენ უამრავი ასეთი ძაღლი გადაადგილდება და ცხოვრობს. განსაკუთრებით დიდია მათი რიცხვი, დარბაზებისა და კვების ობიექტების წინ.

სათემო ჩართულობის ცენტრები, კულტურული და სპორტული დაწესებულებების ინფრასტრუქტურული პრობლემები- სოფელ წითელხევში სადაც კულტურის სახლი და ბიბლიოთეკა იყო განთავსებული, ავარიულ მდგომარეობაშია. როგორც ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა ის სიდიდით რაიონში მეორეა დარბაზების ფართობის გამო. ამ შენობაში დღეის მდგომარეობით მუშაობს მერის წარმომადგენელი და სპეციალისტი. ქალაქ ბაღდათში ძალიან კარგი იქნება ადგილობრივების დიდი სურვილიამოეწყოს მრავალფუნქციური კულტურის ცენტრი, სადაც თავს მოიყრის ახალგაზრდობა არამარტო წითელხევის არამედ მეზობელი სოფლებიდანაც. მონაწილეებმა პოზიტიურად შეაფასეს, რომ ოფიში და წითელხევში უკვე აღდგენილია ბიბლიოთეკა და ფუნქციონირებს გამართულად.

ადმინისტრაციული ერთეულების შენობები ყველა სოფელში მძიმე მდგომარეობაშია. ხანში კი მერის წარმომადგენელს, ოფისი საერთოდ არა აქვს. დანარჩენ თემში არსებული მხოლოდ თავშესაფარია სოფელში მერის წარმომადგენლისა და მისი სპეციალისტისათვის. აუცილებელია, რომ ბიუჯეტში არსებული მუხლი, როლითაც შესაძლებელი არის ადგილებზე პრობლემების მოგვარება, გათვალისწინებული იქნეს გარკვეული თანხები და პრაქტიკულად ამოქმედდეს. ასევე უმნიშვნელოვანესია კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფაც, რადგან სხვადასხვა სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას აღარ დასჭირდება, რომელიმე ერთ კონკრეტულ ადგილზე მისვლა და ადგილებიდან მიიღებენ იმ მომსახურებას რაც მათ სჭირდებათ თავიანთ სოფლებში ადგილებზე.

ახალგაზრდების განვითარება, კულტურა და სპორტი - ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა თქმით მუნიციპალიტეტის კულტურული მატერიალურ ტექნიკური ბაზა არის სრულიად დაკნინებული. ხშირია ახალგაზრდების ჩართვა მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხვადასხვა აქტივობებში.

დაუმუშავებელი და მიტოვებული სასოფლო-სამეურნეო მიწების საკითხი - გლეხი ვეღარ ახერხებს და მოგებასაც ვეღარ ნახულობს მიწის დამუშავებით. რესპოდენტები შეცდომად აფასებენ, ლიანთხის ტერიტორიის (მთაში სპეციალური სათესი ადგილი) გაუქმებას, რომელიც უხვმოსავლიანი იყო. „კომუნისტების დროს აქ მოქმედებდა საბაგრო გზა, რომელიც დღეს უყურადღებობის გამო განადგურებულია“-აღნიშნა ერთ-ერთმა მონაწილემ. რესპოდენტთა თქმით, კარგი იქნება თუ ეს ადგილი გამოყენებული იქნება ტურისტული მიზნითაც, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აუცილებელია მოხდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე სუბსიდირება, კერძოდ თუ გლეხი ვერ მოახდენს კონკრეტულ მიწაზე მოსაყვანი მოსავლის მიღებას, სახელმწიფო უნდა ახდენდეს მიუღებელი მოსავლის კომპენსაციას.

სანიაღვრე არხები -ასევე ძალიან დიდი პრობლემაა, განსაკუთრებით წვიმის დროს, რადგან ქალაქი სულ იფარება. სანიაღვრე სისტემა ასევე სოფლებშიც მოუწესრიგებელია, მას სჭირდება ხშირი გაწმედა რაც არ ხდება.

საწრეტი არხების-არ არსებობა, ასევე ძალიან დიდი პრობლემაა. ამის გამო გვიან ითესება სოფლებში ყანები. რაც ხელს უწყობს ცოტა მოსავლის მიღებას. ეს განსაკუთრებით ვლინდება ქვედა საქარაში, სადაც ვაკე ადგილია.

სკოლამდელი განათლების- კუთხით ძირითად პრობლემას წარმოადგენს არსებული ანტისანიტარია რაც საკანალიზაციო სისტემის არარსებობით არის გამოწვეული და სასმელი წყლის ხარისხი. კერძოდ, რეზერვუარებში დაგროვილი წყალი, რომელიც მიეწოდება ბაღებს არის იმდენად დაბინძურებულია, რომ ხშირია სკოლამდელი ასაკის ბავშვებში წყლით მოწამვლის ფაქტები. აუცილებლობას წარმოადგენს ეზოების მოწყობა და გასართობი საშუალებების დამატება. ასევე პრობლემას წარმოადგენს ბაღის სიშორე სოფლებიდან.

მართალია, ბაღდათის მუნიციპალიტეტში აშენდა ხუთი ახალი ბაღი მაგრამ არცერთში არ არის მოწყობილი გასართობი და სათამაშო სივრცე, სათანადოდ მოწყობილი ეზო არცერთ მათგანს არ გააჩნია. მაგალითად, ზედა დიშში ბაღი საერთოდ არ არის და ასევე გაუქმებულია სკოლაც. ადმინისტრაციული შენობაც საერთოდ განადგურებულია. ანალოგიური პრობლემაა საკრაულაშიც. ბავშვების რაოდენობაც აქ ძალიან მცირეა. მაგალითად პირველ კლასში 2-3 ბავშვია.

❖ ბაღდათის მუნიციპალიტეტში პერიოდულად ვლინდება ქალებისთვის ერთერთი ყველაზე სენსიტიური საკითხი - გენდერული ძალადობაოჯახში, თავისი ყველაზე საბედისწერო შედეგებით. ადგილობრივ გენდერულ დღის წესრიგში აუცილებლად უნდა მოხდეს ოჯახში ძალადობის პრობლემა, რომლის მასშტაბები მუნიციპალიტეტში ბოლომდე უცნობია, მაგრამ ერთეული ტრაგიკული შემთხვევების ანალიზი უჩვენებს საკითხისადმი საზოგადოების არასწორ დამოკიდებულებას. ამიტომ რისკ ჯგუფების ოჯახების გამოვლენა, საკონსულტაციო სერვისის დაწესება, საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობა ადგილობრივი პოლიტიკის სამიზნე უნდა გახდეს.